ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი N3

სხდომის ჩატარების დრო: 2026 წლის 26 იანვარი, 12:00 სთ.
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზი,
ქალაქი ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზირი N3,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N3 სხდომას უძღვება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი.

ესწრებოდნენ :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე **ბესიკ ჩეჩელაშვილი.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: ამირან კოპალეიშვილი, მარეხი ნიჟარაძე, ელეონორა არჩაია, ალექსანდრე თამაზაშვილი, სანდრო ნერგაძე, აკაკი გიორგაძე, იოსებ კუჭავა, გიორგი ჭიღვარია, ალექსანდრე მიქაუტაძე.

სულ : 11 წევრიდან-10 წევრი.

არ ესწრებოდა: მანანა ჩიხლაძე.

სულ: 1 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **დ. ნიშნიანიძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **ო. ფანცხავა.**

სხდომა გასხნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა. მან აღნიშნა: მოგესალმებით, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ბატონი ოთარ ფანცხავა

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა

და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“

ბატონი ბესიკ ჩეჩელაშვილი

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე

3. მიმდინარე საკითხები

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ჩეჩელაშვილმა: დღეს ვატარებთ მორიგ სხდომას, დღის წესრიგის თანახმად პირველი საკითხი ეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემავალ პირველ ცვლილებას. აღნიშნული ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზრდება 44 485.2 ათასი ლარით და შეადგენს 169 610.0 ათასი ლარი.

დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ ბატონ ოთარ ფანცხავას.

მოისმინეს: „საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ოთარ ფანცხავა **:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის I ცვლილების პროექტის შემუშავებას საფუძვლად დაედო „საქართველოს კონსტიტუცია“ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ გადასახდელებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტი.

პროექტის მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის I ცვლილების ფინანსური ნუსხის დამტკიცება;

პროექტის ძირითადი არსია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გადასახდელების ნუსხის დამტკიცება.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით, ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტი მომზადებულია პროგრამული ფორმატით.

მიზანშეწინილია და საჭირო გახდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება: კერძოდ, 2025 წლის ბოლოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე დარჩენილი ნაშთიდან სხვადასხვა პროგრამებზე განაწილდა 33 535.5 ათასი ლარი, აქედან მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენს 30 668.1 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი სახსრების ნაშთები 2 867.4 ათას ლარს. პრიორიტეტების მიხედვით, აღნიშნული თანხები შემდეგნაირად გადანაწილდა: მმართველობა და საერთო

დანიშნულების ხარჯები - 140,0 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის განვითარება - 23 270,8 ათასი ლარი, დასუფთავება და გარემოს დაცვა - 5 550.4 ათასი ლარი, განათლება - 1 919.0 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2 355.3 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 300.0 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 10 879.6 ათასი ლარი, საიდანაც გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთებაზე დაიხარჯება 507.7 ათასი ლარი, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა - 4 648.7 ათასი ლარი, ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა - 1 681.1 ათასი ლარი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია - 1 160.4 ათასი ლარი, ქალაქის მასშტაბით სკვერების რეაბილიტაცია - 2 796.0 ათასი ლარი, სპორტული მინი მოედნის მშენებლობა - 85.7 ათასი ლარი. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებით გამოიყო მიზნობრივი ტრანსფერი 70.1 ათასი ლარის ოდენობით.

2026 წლის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

პირველი ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება გაიზარდა 44 485.2 ათასი ლარით და ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 169 610.0 ათას ლარს.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს

კომისიის წევრი გ. ჭილვარია: ორმოულის ტენდერებთან დაკავშირებით გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია: რა ეტაპზეა მიმდინარე პროცედურები, როდის იგეგმება ტენდერების დასრულება და როდის მოხდება ხელშეკრულების გაფორმება გამარჯვებულ შემსრულებელთან?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: ორმოულის ტენდერთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ტენდერი გამოცხადებულია და მისი დასრულება თებერვლის თვეში იგეგმება. ტენდერის დასრულების შემდგომ, 10-დღიანი ვადა არსებობს გამარჯვებულთან ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის წევრი ი. კუჭავა: რა თანხის ფარგლებშია გამოცხადებული ტენდერი?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: ტენდერი გამოცხადებულია 1 200 ათასი ლარის ფარგლებში.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: რამდენი ლიფტის რეაბილიტაცია განხორციელდება 2026 წელს?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: რეგიონალური ფონდიდან, 5 მილიონი ლარის ფარგლებში, განხორციელდება 70 ლიფტის რეაბილიტაცია, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან — 15 ლიფტის. შესაბამისად, მიმდინარე წელს სულ 85 ლიფტის რეაბილიტაცია იგეგმება.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: ლიფტების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, სავარაუდოდ, პრიორიტეტი მიენიჭება იმ განცხადებებს, სადაც ლიფტები განსაკუთრებით დაზიანებულია?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: დიახ, პრიორიტეტების განსაზღვრისას აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული იქნება. ასევე, შემცირებულია მოსახლეობის მხრიდან თანადაფინანსების ოდენობა და იგი მთლიანი ღირებულების 3%-ს შეადგენს.

კომისიის წევრი გ. ჭიღვარია: კანალიზაციის საკითხებზე რა ხდება ეს თემა 2020 წლიდან მუსირებს?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: კანალიზაციის შიდა მილების რეაბილიტაცია წარმოადგენს თვითმმართველობის პროგრამას, რომელიც გულისხმობს მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის შიგნით, ბინების შიდა კანალიზაციის მილების კეთილმოწყობას, რაც უშუალოდ ამხანაგობის საკუთრება არის. ხოლო იმ დიდი პროექტს, რომელიც მოიცავს ცენტრალური კანალიზაციის მილების შეცვლას, აღნიშნული საკითხი თვითმმართველობის კომპეტენციას არ განეკუთვნება და მათი რეაბილიტაცია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ განხორციელდება.

კომისიის წევრი ე. არჩაია: როგორ ხდება აღნიშნული საკითხის გამიჯვნა და რა ფარგლებში ვრცელდება ჩვენი ვალდებულება ამ პრობლემის მოგვარების კუთხით?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: აღნიშნული საკითხის სრულად მოგვარება მუნიციპალიტეტის ვალდებულებას არ წარმოადგენს. საკანალიზაციო მილების შეცვლა და რეაბილიტაცია წყალმომარაგების კომპანიის პასუხისმგებლობაა. ამასთან, მუნიციპალიტეტი ამხანაგობებს ეხმარება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების შიდა საკანალიზაციო მილების რეაბილიტაციაში.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: სადარბაზოებისა და ლიფტების რეაბილიტაციის მიმართულებით, როგორ მოხდება პრიორიტეტების განსაზღვრა შემოსული განცხადებების გათვალისწინებით?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: სადარბაზოების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, რომელიც მოიცავს სადარბაზოს კარებისა და ფანჯრების რეაბილიტაციას, ამ ეტაპზე გათვალისწინებულია 500 ათასი ლარი, რაც შესაძლოა საკმარისი არ იყოს ყველა შემოსული განცხადების დასაკმაყოფილებლად. რაც შეეხება ლიფტებს, მათი პრიორიტეტულობა განისაზღვრება შემოსული განცხადებების რაოდენობისა და ლიფტის დაზიანების ხარისხის მიხედვით.

კომისიის წევრი გ. ჭიღვარია: პროგრამაში თუ შედის ისეთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები, სადაც ლიფტი საერთოდ არ ფუნქციონირებს?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: იმ შემთხვევაში, თუ კორპუსში ლიფტის შახტა არსებობს, განხორციელდება ლიფტის რეაბილიტაცია.

კომისიის წევრი ა. კოპალეიშვილი: ჩვენ ვახორციელებდით სადარბაზოების შიდა რემონტის პროგრამას, თუმცა არსებობს მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები, რომელთა სადარბაზოების შიდა რემონტი ვერ განხორციელდა. ამასთანავე, მოსახლეობის მხრიდან წარმოდგენილია შესაბამისი პროექტები აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად. იქნებ მოვახერხოთ და მოსახლეობის მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ.

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: არის ასეთი მისამართები, სადაც არ ჩატარებულა სადარბაზოს შიდა სარემონტო სამუშაოები?

კომისიის წევრი ა. კოპალეიშვილი: დიახ, ჩემთვის ცნობილია რამოდენიმე მისამართი.

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: მოვიკვლევთ აღნიშნული მისამართების არსებობას. როგორც მახსოვს, მოთხოვნების შესაბამისად სამუშაოები უკვე განხორციელდა. სადარბაზოების რეაბილიტაციის მუხლში გათვალისწინებული 500 ათასი ლარი სწორედ მაღალი მომართვიანობიდან გამომდინარე განისაზღვრა. იმ შემთხვევაში, თუ დარჩენილია ისეთი მისამართები, სადაც შიდა რემონტის პროექტი წარმოდგენილია, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სარემონტო სამუშაოები არ არის განხორციელებული, აღნიშნული სამუშაოების დაწყებამ შესაძლოა ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება გამოიწვიოს.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: სტადიონის რეაბილიტაციის პროგრამას თუ ვახორციელებთ?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: სტადიონების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებულია 2 355 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების აღდგენა და რეაბილიტაცია.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: დასუფთავებისა და გარემოს დაცვის მუხლში გათვალისწინებულია სოლიდური ოდენობის თანხა — გთხოვთ განგვიმარტოთ, კონკრეტულად რა მიმართულებებსა და ღონისძიებებს მოხმარდება აღნიშნული?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: შარშანდელი 40 მილიონი ლარიდან გადმოტანილია 5 180 ათასი ლარი, ხოლო მიმდინარე წლის განკარგულებით დამატებით გამოიყო 2 756 ათასი ლარი, რომელიც კიკვიძის სახელობის სკვერის რეაბილიტაციას მოხმარდება.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: მრავალშვილიან ოჯახებთან დაკავშირებით რა ხდება?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: ყოველთვიურმა მატერიალურმა დახმარებამ 10 ლარით მოიმატა, საერთო ჯამში აღნიშნულ მუხლში თანხა 288 ათას 400 ლარით გაიზარდა.

კომისიის წევრი ა. გიორგაძე: ავტობუსებთან დაკავშირებით რა ხდება?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: ავტობუსების შეძენას ვგეგმავთ 40 მილიონი ლარის ფარგლებში -25 ავტობუსისა და 10 მიკროავტობუსის.

კომისიის წევრი ი. კუჭავა: შეიძლება ითქვას, რომ შეძენილი ავტობუსები გადანაწილდება იმ ქუჩებზე, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არ მოძრაობს?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: რა თქმა უნდა, ავტობუსების გადანაწილება უნდა განხორციელდეს აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, აგრეთვე იმ არსებული სატრანსპორტო ხაზების შევსებით, რომლებიც ამჟამად არასაკმარისად არის უზრუნველყოფილი. ამ ეტაპზე ქალაქს ემსახურება 60 ავტობუსი და 10 მიკროავტობუსი. სრული სატრანსპორტო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ქალაქის ყველა ქუჩის ასათვისებლად საჭიროა ჯამში 175 ავტობუსი და 72 მიკროავტობუსი.

კომისიის წევრი გ.ჭიღვარია: სატრანსპორტო შეღავათით რამდენი სარგებლობს?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: ქუთაისის მოსახლეობის დაახლოებით 50 % სარგებლობს სატრანსპორტო შეღავათებით.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: როგორც ვხვდები ადგილობრივი თვითმმართველობის სტრატეგია გულისხმობს კერძო სატრანსპორტო საშუალებების ეტაპობრივ ჩანაცვლებას მუნიციპალური ტრანსპორტით?

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: დიახ, ეს წარმოადგენს ჩვენს სტრატეგიულ მიზანს, ვინაიდან კერძო მიკროავტობუსების მოძრაობა ნაკლებად არის ორიენტირებული მგზავრთა კომფორტზე და ძირითადად კერძო ინტერესებით არის ნაკარნახევი. ამასთან, კერძო ტრანსპორტის ჩანაცვლების შემთხვევაში გაიზრდება სატრანსპორტო ხარჯები, შესაბამისად — ტარიფიც.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: სატრანსპორტო მიმართულებით გასაწევი ხარჯები გაიზრდება ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ?

კომისიის წევრი გ. ჭიღვარია: სანამ საზოგადოებრივი ტრანსპორტი დოტაციაზე გადავიდოდა, მგზავრთა გადაყვანა არაკომფორტული იყო, ვინაიდან მათ ემსახურებოდა მოძველებული და ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებები. შესაბამისად, თუ მგზავრთა კომფორტს გავითვალისწინებთ, მუნიციპალიტეტს დამატებითი ხარჯების გაწევა მოუწევს.

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: დიახ, ხარჯები გაიზრდება, თუმცა პარალელურად გაიზრდება დოტაციის ოდენობაც, შესაბამისად — ტარიფიც, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანია მოქალაქეებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება მნიშვნელოვნად კომფორტული გახდეს.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: ჩემს სამაჟორიტაროში საფიჩხიის ცენტრში სოლომონ პირველის ქუჩაზე არის მრავალბიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომლის სარდაფშიც დგება წყალი და ვერ ხდება აღნიშნულის აღმოფხვრა.

მერის მოადგილე დ. ნიშნიანიძე: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია აღნიშნული საკითხის მოგვარება — ე.წ. ტუმბოს დამონტაჟებით, რომელიც აღჭურვილი იქნება ჭკვიანი მატორით და უზრუნველყოფს წყლის კონტროლს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე — 10,

მოწინააღმდეგე — 0,

თავი შეიკავა — 0.

დადგინდა: ღია კენჭისყრის შედეგად, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანას მხარი დაუჭირა.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გეგმა-გრაფიკის დამტკიცება“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე — 10,

მოწინააღმდეგე — 0,

თავი შეიკავა — 0.

დადგინდა: ღია კენჭისყრის შედეგად „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცებას კომისიამ მხარი დაუჭირა.

ამით კომისიის სხდომა დასრულდა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი